<u>კრედიტით სარგებლობის წესები და პირობები</u>

1.1 ფიქსირებული ინტერნეტ ან/და IPTV მომსახურების სააბონენტო გადასახდელის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მომსახურების შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად აბონენტს შეუძლია ისარგებლოს კრედიტით.

1.2 კრედიტის გააქტიურება შესაძლებელია:

- ✓ ოპერატორის მიერ შეთავაზებული დისტანციური არხ(ებ)ის საშუალებით, როგორიცაა პორტალი ან სპეციალური სატელეფონო ნომერი ან;
- ✓ ოპერატორის ქოლ-ცენტრში დარეკვით ან;
- ✓ ოპერატორის მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ფორმით (მაგ.: USSD, SMS) ან;
- ✓ ოპერატორის მომსახურების და რეალიზაციის ოფისში მოთხოვნის დაფიქსირებით.

1.3 კრედიტის გააქტიურება შესაძლებელია სააბონენტო გადასახდელის გადახდის ვადის დადგომიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

1.4 კრედიტით სარგებლობის ვადაა 10 კალენდარული დღე, აღნიშნული ვადის განმავლობაში სააბონენტო გადასახდელის და ვადამოსული სხვა გადასახდელების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემთხვევაში კრედიტით სარგებლობა წყდება შესაბამისი გადახდის დღეს, ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში - 10 დღიანი ვადის ამოწურვისთანავე.

1.5 კრედიტის 10 კალენდარულ დღიანი ვადის სრულად ამოწურვის შემდგომ აბონენტის მიერ სააბონენტო გადასახდელის და ვადამოსული სხვა გადასახდელების, მათ შორის კრედიტით სარგებლობის პერიოდში დარიცხული სააბონენტო გადასახდელის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ოპერატორი შეზღუდავს შესაბამისი მომსახურების მიწოდებას შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.6 კრედიტით სარგებლობის პერიოდში აბონენტს ერიცხება მომსახურებით სარგებლობის საფასური კრედიტით სარგებლობის ყოველი დღისათვის და მისი გადახდა ხდება გადასახდელი სააბონენტოს გადახდასთან ერთად.